

**საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა**

*პროექტი*

2011 წლის დეკემბერი

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს პროექტს საჯარო განხილვისთვის და არ ასახავს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ან UNICEF-ის პოზიციას.*

**სარჩევი**

		გვერდი
A.	შესავალი და განხილვა	
	1. რას ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა	
	2. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება	
	3. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია	
	4. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მისია	
	5. კანონები და სტრატეგიული დოკუმენტები კატეგორიების მიხედვით	
	6. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებები, აქტორები და მექანიზმები	
	7. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპები	
	8. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დეფინიციები	
B.	პოლიტიკის მიმართულება 1: მონაწილეობა	
	1. სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები	
	2. გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები	
	3. ახალგაზრდების მიერ შემუშავებული პროექტები	
	4. მოხალისეობა	
	5. კულტურა, შემოქმედებითი საქმიანობა და დასვენება	
C.	პოლიტიკის მიმართულება 2: განათლება, სამსახური და მობილობა	
	1. სკოლიდან სამსახურზე გადასვლის სისტემა - ზოგადად	
	2. სკოლიდან სამსახურზე გადასვლის სისტემა - ახალგაზრდების მოწყვლადი ჯგუფები	
	3. ეკონომიკური შესაძლებლობები და ცხოვრების პირობები რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის	
	4. სტუდენტთა მობილობა	
D.	პოლიტიკის მიმართულება 3: ჯანმრთელობა	
	1. ცხოვრების ჯანსაღი წესი	

	2. რეპროდუქციული ჯანმრთელობა	
	3. მენტალური და ემოციური ჯანმრთელობა	
E.	პოლიტიკის მიმართულება 4: სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა	
	1. სოციალური დახმარება	
	2. პრევენციული ღონისძიებები იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სპეციალური მხარდაჭერა ესაჭიროებათ	
	3. უფლებები, ძალადობა და სასტიკი მოპყრობა	
F.	მთავარი აქტორების როლი და ვალდებულებები	
G.	გადაწყვეტილების გამოტანის, კოორდინაციისა და იმპლემენტაციის მექანიზმები	
	1. გადაწყვეტილების გამოტანა, კოორდინაცია და იმპლემენტაცია მთავრობის შიგნით	
	2. გადაწყვეტილების მიღება, კოორდინაცია მთავრობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის და იმპლემენტაცია	
	3. სტრუქტურული დიალოგი: გადაწყვეტილების მიღება, კოორდინაცია და იმპლემენტაცია ახალგაზრდების მონაწილეობით	
	4. კომუნიკაცია	
	5. ახალგაზრდული სამუშაო და არაფორმალური განათლება	
	6. კვლევა	
	7. ანგარიშვალდებულება	
H.	დასკვნა	

## A. შესავალი და განხილვა

გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, საქართველოს ახალგაზრდობა ქვეყნის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა არეგულირებს იმ საკითხთა ფართო სპექტრს, რომლებიც შეეხება ახალგაზრდებს ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში.

### 1. რას ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდობის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, აუცილებელია ახალგაზრდობის, მისი როლისა და საჭიროებათა შესახებ მკაფიო და და ერთიანი ხედვის ფორმირება. ამ ხედვის საფუძველზე შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს შესაბამისი მიდგომები და ის მექანიზმები, რომლებიც ახალგაზრდობის მდგომარეობის გამოსწორებას ემსახურება. უნდა შემუშავდეს ყოვლისმომცველი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა, რომლის მიზანია იმ ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოჩენა და გაძლიერება, რომელიც უკვე არსებობს და წარმატებით ხორციელდება, ასევე იმ მეთოდების გაუმჯობესება, რომლებსაც არსებული პოლიტიკა იყენებს ახალგაზრდობის წინაშე მდგარ საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით, და ახალი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც არსებულ ხარვეზებს აღმოფხვრის. ეს პოლიტიკა ხელს შეუწყობს მთავრობას შესაბამისი ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესრულებასა და პრაქტიკაში ეფექტურად დანერგვაში.

ახალგაზრდობის წინაშე მდგარ გამოწვევათა (მაგ. დანაშაულის პრევენცია, ცხოვრების ჯანსაღი წესი, ახალგაზრდების დასაქმება) დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, ან თუნდაც მთავრობის ძალისხმევით. აუცილებელია შემუშავდეს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა, რათა შესაძლებელი გახდეს ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სამინისტროების; ახალგაზრდების, მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის; და საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ პარტნიორთა ძალისხმევის კოორდინაცია. საჭიროა შეიქმნას ახალგაზრდებსა და მთავრობას შორის სტრუქტურული დიალოგის მექანიზმები, რომელთა მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უფლების რეალიზაცია.

კოორდინაციის გაუმჯობესების, ასევე პროგრამებისა და სტრატეგიების შემუშავების გზით, ახალგაზრდულმა პოლიტიკამ უნდა დაისახოს მიზნები რომელთა მიღწევაც შესაძლებელია არსებული რესურსებით. შედეგზე ორიენტირებული სტრატეგია თავის მხრივ ხელს შეუწყობს უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვას.

## 2. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა შემუშავდა სპორტისა და ახალგაზრობის საქმეთა სამინისტროსა და UNICEF-ს შორის არსებული პარტნიორობის საფუძველზე, რომელიც შემდგომში გაფართოვდა და მოიცვა სხვა სამინისტროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მკვლევარები. საორგანიზაციო ჯგუფებთან კონსულტაციების შემდეგ, დაიწყო იმ ინფორმაციისა და იდეების შეგროვების პროცესი, რომლებიც საფუძვლად დაედო პოლიტიკას, კერძოდ:

- ახალგაზრდული პოლიტიკის მექანიზმებისა და განვითარების სფეროში არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი;
- ახალგაზრდობის საკითხებზე ეროვნული კონსულტაცია და სამუშაო შეხვედრები ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფთან (კონსულტაციებს უძღვებოდნენ ახალგაზრდული ორგანიზაციების კვალიფიციური წარმომადგენლები);
- საქართველოს ახალგაზრდობაზე (ქართველ მკვლევართა ჯგუფის მიერ) ჩატარებული კვლევების ანალიზი;
- იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან.
- ახალგაზრდული პოლიტიკის მხარდაჭერის თვალსაზრისით ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შესაძლებლობების ანალიზი.

ინფორმაციისა და იდეების შეგროვების ეტაპის შემდგომ, მომზადდა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სადისკუსიო დოკუმენტი, რომელშიც განზოგადებული სახით იქნა წარმოდგენილი ჩატარებული კვლევის შედეგები. ამის შემდგომ ჩატარდა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კონფერენცია, რომლის მიზანი იყო სტრატეგიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტების შემუშავება და სხვა სახის მასალების მომზადება სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის პროექტისთვის. კონფერენციაში მონაწილეობდა საქართველოს მასშტაბით 120 მონაწილე, მათ შორის ახალგაზრდები, ახალგაზრდული ორგანიზაციების, სამინისტროების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მკვლევარები. სახელმწიფო ახალგაზრდული

პოლიტიკის პროექტს გაეცნო საზოგადოება. მასში შეტანილ იქნა ცვლილებები საზოგადოების მხრიდან გამოთქმული კომენტარების საფუძველზე, გადაისინჯა სამინისტროების მიერ და დასამტკიცებლად წარედგინა მთავრობას. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ამოქმედების შემდეგ დაიწყება პროცესი, რომლის მიზანია დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამ გეგმაში ასახული იქნება ინდიკატორები, შუალედური ეტაპები და ბიუჯეტი.

### **3. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია**

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია ითვალისწინებს ისეთი საზოგადოების შექმნას, სადაც ახალგაზრდები ცხოვრობენ სრულფასოვანი ცხოვრებით, წარმოადგენენ თავიანთი თემის აქტიურ წევრებს, შემწყნარებლობით და ზრუნვით ეპყრობიან სხვა ადამიანებს, არიან დამოუკიდებლები და გააჩნიათ თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზების მოტივაცია.

### **4. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მისია**

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მისიაა ერთობლივი მუშაობა, რათა:

- შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი გაერთიანებები, სადაც იქნება უსაფრთხო, ჯანსაღი და მასტიმულირებელი ატმოსფერო და ახალგაზრდებზე იზრუნებენ კომპეტენტური და გულისხმიერი ადამიანები;
- ყველა ახალგაზრდამ, გეოგრაფიული წარმოშობის, ეკონომიკური თუ საცხოვრებელი პირობების თუ ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მიიღოს შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლება, იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრებით, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ოჯახის, თემისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში, დასაქმდეს და ისარგებლოს თავისი უფლებებითა და თავისუფლებებით; და
- პირდაპირი დაეხმარება გაეწიოს განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე მდგარ ახალგაზრდებს, რათა მათ შესძლონ საზოგადოებაში ინტეგრაცია და ისარგებლონ ისეთივე შესაძლებლობებით, როგორც სარგებლობენ სხვა ახალგაზრდები.

### **5. კანონები და სტრატეგიული დოკუმენტები კატეგორიების მიხედვით**

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ემყარება შემდეგ კანონებს და სტრატეგიულ დოკუმენტებს:

**კანონები:**

**მონაწილეობა:**

კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ;

კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ;

კანონი სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ;

კანონი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ;

კანონი კულტურის შესახებ;

კანონი შემოქმედებისა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ;

კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ;

კანონი შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ;

კანონი ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ;

**განათლება, სამსახური და მობილობა:**

სამოქალაქო კოდექსი;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

კანონი მეწარმეთა შესახებ;

კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ;

კანონი მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის შესახებ;

კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ;

კანონი მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ;

შრომის კოდექსი;

კანონი დასაქმების შესახებ;

კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ;

კანონი განათლების შესახებ;

კანონი პროფესიული განათლების შესახებ;

**ჯანმრთელობა:**

კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ;

კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;

კანონი პაციენტის უფლებების შესახებ;

კანონი აივ ინფექცია/შიდსის შესახებ;

კანონი სპორტის შესახებ;

**სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა:**

კანონი ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ;

კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა შესახებ;

კანონი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ;

სისხლის სამართლის კოდექსი;

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

კანონი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ;

**ანგარიშვალდებულება :**

კანონი საქართველოს ომბუდსმენის შესახებ;

**სტრატეგიული დოკუმენტები:**

- საქართველოს მთავრობის პროგრამა (2008-2012): საქართველო სიღარიბის გარეშე;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია საქართველოსათვის (2010-2015);
- ბავშვთა ფიზიკური განათლების ეროვნული სტრატეგია;
- საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგია (2006);
- აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა (2011-2016);
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წესდება;
- შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია;
- ბავშვთა შესახებ სამოქმედო გეგმა (2009-2011);
- სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია (2010);
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა (2010);
- საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია (2010-2017);
- ზოგადი განათლების რეფორმების სტრატეგია (2010- 2015);
- ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N8 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ;

## **6. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებები, აქტორები და მექანიზმები**

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა მოიცავს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს და სტრატეგიებს, რომლებიც არეგულირებს შემდეგ ოთხ სფეროს:

**მიმართულება 1: მონაწილეობა**

**მიმართულება 2: განათლება, სამსახური და მობილობა**

### მიმართულება 3: ჯანდაცვა

### მიმართულება 4: სპეციალური დახმარება და დაცვა

ამ დოკუმენტებში განმარტებულია მთავარ აქტორთა როლი და ვალდებულებები, ასევე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გადასინჯვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმები.

#### 7. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპები

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განმარტებისას და განხორციელებისას გამოიყენება ქვემოთ მოცემული პრინციპები. შემდგომ ეტაპზე, ეს მრავალწახნაგოვანი პრინციპები აისახება ყველა იმ სამთავრობო სტრატეგიაში, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდობასთან:

**კვლევის შედეგებსა და გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი:** პოლიტიკა ექვემდებარება განხორციელებას, შეფასებასა და გადასინჯვას მაღალხარისხიანი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და იმ ახალგაზრდების შეხედულებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებსაც უშუალოდ შეეხებათ ეს პოლიტიკა.

**ტრანსპარენტულობა და ანგარიშვალდებულება:** ის ინსტიტუტები და პროცესები, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პოლიტიკის განხორციელებაში, ღიად და ხშირი ინტერვალებით წარმოადგენენ მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს ამსახველ ინფორმაციას და გაითვალისწინებენ მათ მიმართ გამოთქმულ კომენტარებს და კრიტიკულ მოსაზრებებს.

**პარტნიორობა და თანამშრომლობა:** წინამდებარე პოლიტიკის ყველა სუბიექტი კისრულობს ვალდებულებას, იმუშაოს ერთობლივად, თანამშრომლობის სულისკვეთებით, სათანადოდ შეაფასოს თითოეული პარტნიორის მიერ შეტანილი უნიკალური წვლილი და უზრუნველყოს უფლებამოსილებათა გათანაბრება.

**უფლებების პატივისცემა:** პოლიტიკა აღიარებს და განამტკიცებს ახალგაზრდების სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ უფლებებს, რომლებიც ასახულია საერთაშორისო და ქართულ კანონმდებლობაში და ამ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, ახალგაზრდებს ეხმარება პროტესტის გამოხატვასა და შესაბამისი ზომების მიღებაში.

**ხელმისაწვდომობა:** პოლიტიკით გათვალისწინებული მომსახურებები და ღონისძიებები ხელმისაწვდომი იქნება ახალგაზრდებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებისა და რთულად მისდგომი დასახლებების ჩათვლით.

**თანასწორობა:** პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდა, მიუხედავად ეკონომიკური სტატუსის, ეთნიკური წარმოშობის, შესაძლებლობების, გეოგრაფიული ადგილსამყოფლის, რელიგიური მრწამსის თუ სექსუალური ორიენტაციისა, თანასწორად სარგებლობდეს არსებული შესაძლებლობებით. გაწეულ უნდა იქნას ძალისხმევა, რათა

აღმოიფხვრას უსამართლობის ფაქტები და რესურსებით არათანასწორი სარგებლობა. სპეციალური ყურადღება დაეთმობა იმ განსხვავებულ მიდგომებს, რომლებსაც პოლიტიკა ითვალისწინებს ახალგაზრდა ქალებისა და ახალგაზრდა მამაკაცების მიმართ, და გატარდება ზომები, რათა მათ თანაბრად ისარგებლონ პოლიტიკით გათვალისწინებული სიკეთებით.

**ინკლუზიურობა და სოციალური შეჭიდულობა:** პოლიტიკა ხელს შეუწყობს პატივისცემის, ურთიერთთაგებისა და კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას საქართველოში არსებულ ყველა სოციალურ და იდენტურობის მქონე ჯგუფს შორის, ასევე ახალგაზრდებს - როგორც ჯგუფსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის.

**მეგობრობა ახალგაზრდებს შორის:** პოლიტიკის ფარგლებში ზომების შემუშავებისას, მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები, როგორც განვითარების, ისე კულტურის თვალსაზრისით, განსხვავდებიან საზოგადოების სხვა ჯგუფებისგან და მათთან ურთიერთობა უნდა დამყარდეს ამ კონტექსტის გათვალისწინებით.

**პროფესიული ზრდის შესაძლებლობა:** პოლიტიკა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, ახალგაზრდული მუშაკებისა და სპეციალისტების და იმ ინსტიტუტების კომპეტენციისა და შესაძლებლობათა გაძლიერებას, რომლებიც ემსახურებიან ახალგაზრდებს.

## **8. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დეფინიციები**

ქვემოთ მოცემული დეფინიციები უზრუნველყოფს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკით გათვალისწინებული ზომების ერთგვაროვან გაგებას:

**ახალგაზრდა** ნიშნავს 15-29 წლის პირს. თუმცა, სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ასევე არეგულირებს იმ ახალგაზრდების პრობლემებს, რომლებიც არ შედიან აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში და ქმნიან სხვა ასაკობრივ ქვეჯგუფებს. კერძოდ, სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა არეგულირებს 0-18 წლის ასაკის ბავშვთა დაცვის, 12-19 წლის მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის და 14-17 წლის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დამოკიდებულების საკითხებს.

**ახალგაზრდული სამუშაო** ნიშნავს საგანმანათლებლო მუშაობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურეობრივი კონტექსტის მიღმა. ახალგაზრდული სამუშაოს მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების კეთილდღეობას, ასევე საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას. ახალგაზრდული სამუშაო სრულდება მოხალისე მუშაკების ან პროფესიონალი ახალგაზრდული მუშაკების მიერ, სხვადასხვა არასამთავრობო ან სახელმწიფო ორგანიზაციებში, ახალგაზრდულ ცენტრებსა და ახალგაზრდულ სამსახურებში.

**არაფორმალური სწავლა** ნიშნავს სწავლას საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებს გარეთ და წარმოადგენს მონაწილეობით და ნებაყოფილობით პროცესს, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და შესაბამისად, მჭიდროდაა დაკავშირებული ახალგაზრდების საჭიროებებთან, მისწრაფებებთან და ინტერესებთან. ეს არის მიზნობრივი



და ხშირად, სტრუქტურირებული პროცესი, რომელიც ეფუძნება სწავლების მიზნებს და სასწავლო რესურსებს. არაფორმალური სწავლა მიზნად ისახავს ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდა პიროვნებების ჩამოყალიბებას, რომლებსაც შეუძლიათ განავითარონ პასუხისმგებლობით გამსჭვალული და შემოქმედებითი მიდგომა გამოწვევების დაძლევის პროცესში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანი ელემენტებია თანატოლთა ურთიერთგანათლება, სწავლების უსაფრთხო გარემო, მიდგომებისა და მიზნობრივი ჯგუფების მრავალფეროვნება. თუ ფორმალური განათლება აქცენტს აკეთებს კოგნიტიურ სწავლაზე, არაფორმალური განათლება, კოგნიტიურ ასპექტებთან ერთად, ითვალისწინებს სწავლის ემოციურ, სოციალურ და პრაქტიკულ ელემენტებს.

**სტრუქტურული დიალოგი** წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელსაც იყენებს სახელმწიფო, რათა უზრუნველყოს ადგილობრივ (რაიონულ/სათემო/რეგიონულ) და ცენტრალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სისტემატური და მათდამი კეთილგანწყობილი მონაწილეობა. ის შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ შესაბამისი საკითხების ფორმულირებაში და აწვდის მათ ინფორმაციას მონაწილეობის შესაძლებლობათა შესახებ. სტრუქტურული დიალოგი ფლექსიური პროცესია, რამდენადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ თავიანთი მონაწილეობის (ან არმონაწილეობის) ხარისხი და მონაწილეობის პირობები (მაგალითად, მონაწილეობის ხანგრძლივობა ან ტიპი). ამგვარი დიალოგის ფარგლებში ახალგაზრდები იღებენ ინფორმაციას მონაწილეობის შედეგების შესახებ, ფასდება მათ მიერ შეტანილი წვლილი და განიმარტება ზოგიერთი მათი იდეის განუხორციელებლობის მიზეზები.

**ახალგაზრდული ორგანიზაცია** წარმოადგენს ისეთ გაერთიანებას, სადაც ხელმძღვანელი პირების და წევრების უმრავლესობა ახალგაზრდაა.

## **B. პოლიტიკის მიმართულება 1: მონაწილეობა**

### **1. სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები**

ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და გადაწყვეტი როლი ენიჭებათ ქვეყნის დემოკრატიული მომავლის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილია აქტიურად ჩართული, ახალგაზრდების უმეტესობას კი გაცნობიერებული არ აქვს სამოქალაქო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები. დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ახალგაზრდებს და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს დაბრკოლებები ექმნებათ სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით და მათი ამგვარი გამიჯნულობა საფრთხეს უქმნის სოციალურ სოლიდარობას. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებზე მიმდინარე ეროვნული კონსულტაციების პროცესში განისაზღვრა სამოქალაქო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის კომპონენტები, კერძოდ: გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდების მობილიზაცია, პოლიტიკურ პროცესებში და სამოქალაქო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.

**მთავრობა უზრუნველყოფს ახალგაზრდებს შორის სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმატიულობის ხარისხის ამაღლებას და პრაქტიკულად განხორციელებას.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

1.1 განახორციელებს ახალგაზრდების სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების სფეროში ფორმალურ და არაფორმალურ სწავლებას, რაც გაზრდის ინფორმირებულობის ხარისხს;

1.2 თხოვნით მიმართავს სახალხო დამცველის ოფისს, უზრუნველყოს ახალგაზრდების სამოქალაქო უფლებათა დაცვა არაფორმალური სწავლების, მედია კამპანიების, მონიტორინგისა და ადვოკატირების ღონისძიებათა განხორციელების გზით;

1.3 უზრუნველყოფს ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ეროვნულ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირეობათა შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რაც ხელს შეუწყობს მათ მიმართ ტოლერანტულობის ხარისხის ამაღლებას.

## **2. გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები**

საქართველოს მთავრობა, როგორც ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციისა და ახალგაზრდების ადგილობრივ და რეგიონალურ ცხოვრებაში მონაწილეობის ევროპული ქარტიის მხარე, აღიარებს ახალგაზრდების მონაწილეობის უფლებას მათთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. საქართველოს მთავრობას სურს გამოეხმაუროს ახალგაზრდების მოთხოვნას, გაიზარდოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედ თვითმმართველობათა წარმომადგენლობითობა და უფლებამოსილებათა ფარგლები. ამასთან, ის აღიარებს სხვა სამთავრობო დაწესებულებებში ახალგაზრდებისთვის მსგავსი შესაძლებლობების მინიჭების საჭიროებას.

**მთავრობა უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდებს გააჩნდეთ მათთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა და უნარ-ჩვევები**

2.1 მიაწვდის ახალგაზრდებს ინფორმაციას იმ შესაძლებლობათა შესახებ, რომლებიც არსებობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი აქტიური ჩაბმისა და საჭირო უნარ-ჩვევების შექმნის შესახებ;

2.2 შექმნის თვითმმართველობებს ყველა დაწესებულებაში, სადაც ახალგაზრდები არიან წარმოდგენილნი (პროფესიული სასწავლებლები, ბავშვთა სახლები, სპორტული ასოციაციები, სხვ);

2.3 შექმნის ქოლგა ორგანიზაციას, რომელიც თვითმმართველობებს გაუწევს ფინანსურ მხარდაჭერას, დაეხმარება მათ შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებაში და მონიტორინგს გაუწევს მათ საქმიანობას, რათა უზრუნველყოს მათი ინკლუზიურობა, ტრანსპარენტულობა და შესაბამისი ინსტიტუტისგან დამოუკიდებლობა.

### 3. ახალგაზრდების მიერ შემუშავებული პროექტები

ახალგაზრდებს შეუძლიათ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავონ პროექტები, რომლებიც ეფექტურია მათი თანატოლების საჭიროებათა დაკმაყოფილების თვალსაზრისით. თავიანთი პროექტების შემუშავების პროცესში, ახალგაზრდები იძენენ მთელ რიგ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს. ახალგაზრდების მიერ შემუშავებული პროექტები ხელსაყრელია როგორც ამგვარი პროექტების ბენეფიციარების, ისე მთელი საზოგადოებისთვის. საქართველოს ახალგაზრდებს სურთ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში არსებულ სტრატეგიათა განხორციელებაში. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები ხშირად მოკლებულნი არიან ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობებს და საშუალებებს. თავიანთი სამუშაოს შესრულებაში მათ ბარიერს უქმნის სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორებიც. მთავრობა აფინანსებს ზოგიერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის პროექტებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედ სტუდენტურ თვითმმართველობებს, მაგრამ ახალგაზრდულ ორგანიზაციათა პროექტების მიმართ მხარდაჭერა ჯერ კიდევ არასაკმარისია. მცირეა ასევე ახალგაზრდების მარგინალიზებულ ჯგუფთა მხრიდან განხორციელებულ ინიციატივათა ოდენობაც.

#### მთავრობა მხარს დაუჭერს ახალგაზრდების მიერ ინიცირებულ პროექტებს

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

3.1 კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარების და სახელმძღვანელოების შედგენის გზით, დაეხმარება ახალგაზრდებს იმ უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარებაში, რომლებიც აუცილებელია პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის;

3.2 განახორციელებს საგრანტო პროგრამებს, რომლებში მონაწილეობაც შეუძლიათ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს;

3.3. შექმნის აუცილებელ ინფრასტრუქტურას როგორც რეგიონულ, ისე რაიონულ დონეზე, რათა უზრუნველყოს ახალგაზრდული ცენტრების ამოქმედება და მათი მდგრადი ფუნქციონირება;

3.4. საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებს შეიტანს არსებულ კანონმდებლობაში ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების ხელშეწყობის მიზნით, და შეცვლილი გარემოებებისა და ახალგაზრდების საჭიროებათა გათვალისწინებით.

3.5 უზრუნველყოფს ახალგაზრდული ინიციატივების გაშუქებას, რაც გააძლიერებს ახლად შექმნილი ახალგაზრდული ჯგუფების მოტივაციას, ახალგაზრდების მიღწევათა შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებას და წახალისებს დონორებს ახალგაზრდული პროექტების მხარდასაჭერად.

### 4. მოხალისეობა

მოხალისეობა არაფორმალური განათლების ფარგლებში მოქმედი ეფექტური ინსტრუმენტია, რომლის მიზანია ყოფითი ცხოვრებისა და დასაქმების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. ამასთან, მოხალისეობა ჩართულობის კონსტრუქციული ფორმაა დაუსაქმებელი ადამიანებისთვის, რომელიც ეხმარება მათ შრომის ბაზარზე მოსახვედრად. მიუხედავად ამისა, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მოხალისეთა რიცხვი ძალზედ დაბალია. მოხალისეთა მიერ გაწეული ხარჯების, მათ შორის ტრანსპორტირების საფასურის დასაფარად გადახდილი თანხა იბეგრება, ეს კი ახალგაზრდებს მოხალისედ მუშაობის მოტივაციას უკარგავს. მთავრობა ქმნის ახალ პოლიტიკას ამ სფეროში, რომლის შედეგად მოხალისეობა სარგებლობას მოუტანს არა მარტო ახალგაზრდებს, არამედ მთელ საზოგადოებას.

**მთავრობა მხარს დაუჭერს ახალგაზრდების ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებას მოხალისეობის დანერგვის გზით.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

4.1 განსაზღვრავს მოხალისეობის კონცეფციას და როგორც მოხალისეების, ისე მოხალისეთა მიმღები ორგანიზაციების უფლებებსა და მოვალეობებს;

4.2 გააუქმებს იმ გადასახადს, რომლითაც იბეგრება მოხალისეთა მიერ გაწეული ხარჯების, მათ შორის ტრანსპორტირების საფასურის დასაფარად გადახდილი ფულადი დახმარება;

4.3 გადასინჯავს შრომის კოდექსს, რათა უზრუნველყოს მოხალისეთა მიერ გაწეული შრომის აღიარება და პოპულარიზაცია;

## **5. კულტურა, შემოქმედებითი საქმიანობა და დასვენება**

ახალგაზრდები პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ კულტურული საქმიანობის, შემეცნების, გართობისა და დასვენების შესაძლებლობებს. კულტურულ და შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს ახალგაზრდებს შორის იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც მათ გამოადგებათ თავიანთი ცხოვრების ყველა ასპექტში და შეუქმნის მათ საფუძველს კულტურისა და ტურიზმის სექტორებში დასაქმებისთვის. მიუხედავად ამისა, საქართველოში კულტურულ, შემოქმედებით და გასართობ ღონისძიებებში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებით ძალზედ მცირე კვლევაა ჩატარებული. სამთავრობო პოლიტიკა ამ სფეროში დაეფუძნება „პატრიოტთა“ ბანაკების პროექტის განხორციელებისა და კულტურისა და ტურიზმის სფეროში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ გამოცდილებას.

**მთავრობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩაბმას კულტურულ, შემოქმედებით და გართობა-დასვენების ღონისძიებებში.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

5.1 უზრუნველყოფს ახალგაზრდების ჩაბმას კულტურული და ეროვნული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებში;

5.2 გაზრდის პროგრამა „კატრიოტის“ მასშტაბს და შეიმუშავებს მსგავს პროგრამებს ახალგაზრდებისთვის;

5.3 გააძლიერებს შემოქმედებით კონკურენციას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის;

5.4 აამოქმედებს ფასდაკლების სისტემებს ახალგაზრდებისთვის კულტურულ დაწესებულებებში და კულტურულ ღონისძიებებზე დასასწრებად.

## C. პოლიტიკის მიმართულება 2: განათლება, სამსახური და მობილობა

### 1. განათლების სისტემიდან სამსახურზე გადასვლის სისტემა

მიუხედავად განათლების სექტორში განხორციელებული ფუნდამენტური რეფორმებისა და მაკროეკონომიკური პოლიტიკისა, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ახალგაზრდობა, მოსახლეობის სხვა სეგმენტებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებადაა დასაქმებული. (აქ დაგვიწეროს რა მონაცემზე დაყრდნობით იძახის) დაუსაქმებლობის ოფიციალური მონაცემები სათანადოდ არ ასახავს ახალგაზრდობის ეკონომიკურად არახელსაყრელ მდგომარეობას, რადგან ახალგაზრდების უმეტესობა არაფორმალურ სექტორში მუშაობს და არ იღებს ხელფასს. ახალგაზრდების დაუსაქმებლობას სტრუქტურული ხასიათი აქვს: ახალგაზრდები სკოლის დამთავრების შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ ახერხებენ სამსახურის პოვნას. ახალგაზრდა ქალები, ახალგაზრდა მამაკაცებთან შედარებით, ბევრად უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგანან, რადგან ქალები უფრო დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებენ სამსახურის პოვნას და შესაბამისად, მათი დაუსაქმებლობის პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია. სამთავრობო პოლიტიკაში გათვალისწინებულ იქნება ახალგაზრდების მოთხოვნა, რომელიც შეეხება საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების სწავლებას, დასაქმების სამსახურების შექმნას და სამუშაო გამოცდილების მიღების შესაძლებლობათა უზრუნველყოფას.

**მთავრობა დაეხმარება ახალგაზრდებს დასაქმდნენ იმ სფეროში, რომელშიც მათ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

- 1.1 უზრუნველყოფს ჯერ კიდევ სკოლაში მყოფი ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრას ღია კარის სესიების ორგანიზების, ან ორკვირიანი სტაჟირების მოწყობის გზით იმ სამსახურებში, სადაც ახალგაზრდებს აინტერესებთ მუშაობის დაწყება;
- 1.2 ჩაატარებს სამუშაო ბაზრის პერიოდულ კვლევას, რათა განსაზღვროს ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები და აცნობებს ახალგაზრდებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამგვარი კვლევის შედეგების შესახებ;
- 1.3 საშუალო სკოლებში შექმნის/გამოყოფს მრჩევლის შტატს, რომელიც ახალგაზრდებს მიაწვდის ინფორმაციას უმაღლესი განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობათა შესახებ;

- 1.4 უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში შეიტანს პრაქტიკული სამუშაოების კომპონენტს;
  - 1.5 ახალგაზრდებს უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორში დასაქმების შესაძლებლობით იმ სფეროებში, რომლებშიც მათ გააჩნიათ კვალიფიკაცია;
  - 1.6 უზრუნველყოფს აქტიურ თანამშრომლობას შესაბამის სამინისტროებსა და არასამთავრობო სექტორს შორის, რათა განხორციელდეს ინოვაციული და მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლიდან სამსახურზე გადასვლის სისტემას, რასაც თან უნდა ახლდეს:
    - a. საზოგადოების მონაწილეობით წლიური თემატური პრიორიტეტების განსაზღვრა;
    - b. ყოველწლიურად სათანადო რესურსების გამოყოფა იმ პროექტების დაფინანსების მიზნით, რომლებიც დამტკიცდა წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების საფუძველზე;
    - c. რეგიონების აქტიური ჩაბმა, რასაც წინ უძღვის მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და მობილიზაცია;
    - d. შესაბამისი მექანიზმების ამოქმედება დაფინანსებული პროექტების ეფექტურობის შეფასების მიზნით, და იმ პროექტების თანმიმდევრულად დაფინანსება, რომლებიც წარმატებით ხორციელდება.
- 2. განათლების სფეროდან სამსახურზე გადასვლის სისტემა - ახალგაზრდების მოწყვლადი ჯგუფები**

განათლების სისტემიდან სამსახურზე გადასვლა ყველა ახალგაზრდის წინაშე მდგარი გამოწვევაა, თუმცა ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფები ამ პროცესში კიდევ უფრო მეტ სირთულეებს აწყდებიან. სიღარიბეში მყოფ, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ და სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის ნაკლები შანსი აქვთ. ახალგაზრდებს თავადაც კარგად ესმით, რომ მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად დადგენილი გადასახადი, სახელმძღვანელოების საფასური, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური და ცხოვრების ხარჯები არის მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ახერხებენ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ახალგაზრდები თავიანთი შეძლებული თანატოლების მსგავსი განათლების მიღებას. სიღარიბე, მშობლების დაუსაქმებლობა, განათლების დაბალი ხარისხი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის სტატუსი ზრდის ახალგაზრდების დაუსაქმებლობის რისკს.

მთავრობა უზრუნველყოფს, რომ სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, იმ ახალგაზრდებს, რომელთა მიმართაც დასრულდა სახელმწიფო მზრუნველობა, მართლსამაჯულების სისტემაში მოხვედრილ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ხელმოკლე ოჯახებში მცხოვრებ ახალგაზრდებს გააჩნდეთ განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები, რასაც შედეგად მათი დასაქმება მოჰყვება.

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

- 2.1 მუდმივად ეცდება შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს განათლების ხარისხი და ახალგაზრდებს შეუქმნის როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური პროფესიული განათლების მიღების უფრო მეტ შესაძლებლობას; არაფორმალური და პროფესიული განათლება სხვადასხვა რაღაცაა, იქნებ მძიმე აკლია
- 2.2 გააუმჯობესებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ხარისხს, კერძოდ, ამ ახალგაზრდებს აღმოუჩენს დახმარებას ცხოვრებისა და დაბინავების ხარჯების დაფარვის მიზნით;
- 2.3 გაზრდის საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას, რისთვისაც გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებას და პროვინციებში გახსნის უფრო მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებას;

### **3. ეკონომიკური შესაძლებლობები და ცხოვრების პირობები რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის**

რეგიონებსა და რთულად მისაღწეად ადგილებში მცხოვრებ ახალგაზრდებს ისეთივე მომსახურებები და შესაძლებლობები სჭირდებათ, როგორც მათ ქალაქში მცხოვრებ თანატოლებს. უმაღლესი განათლების მქონე პირებს რეგიონებში დასაქმების ნაკლები შანსი აქვთ და ამიტომ, ისინი საცხოვრებლად იმ ქალაქში რჩებიან, სადაც განათლება მიიღეს და იქ იწყებენ სამსახურის ძებნას. ცხოვრების ხარისხი არის კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ ტოვებენ ახალგაზრდები პროვინციებს: პროვინციებში უფრო ნაკლებია გართობისა და დასვენების ღონისძიებები და საშუალებები; ინტერნეტი არ არსებობს ან ძვირია; ახალგაზრდები ტერიტორიულად მოწყვეტილნი არიან რეალურად არსებულ მომსახურებებს.

**მთავრობა ხელს შეუწყობს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ეკონომიკური და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ძალისხმევას, რათა აღმოიფხვრას პროვინციებში არსებული სიღარიბის პრობლემა და შემცირდეს შიდა მიგრაცია.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

- 3.1 გააუმჯობესებს რეგიონებში განათლების ხარისხს;
- 3.2 მხარს დაუჭერს ტრენინგების/სწავლების დაწყებას ან გაუმჯობესებას რეგიონებისთვის სპეციფიკურ პროფესიებში (მაგალითად, მეღვინეობა კახეთში);
- 3.3 ხელს შეუწყობს რეგიონებში ეკონომიკურ განვითარებას, რაც შექმნის ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობებს;
- 3.4 პრიორიტეტს მიანიჭებს რეგიონებში მოქმედ სახელმწიფო სექტორში ადგილობრივი ახალგაზრდების დასაქმებას;
- 3.5 ხელს შეუწყობს რეგიონებში კულტურულ-გასართობი პროგრამების განხორციელებას.

### **4. სტუდენტთა მობილობა**

საქართველოში ბევრ ახალგაზრდას სურს ისწავლოს საზღვარგარეთ მოქმედ უნივერსიტეტებში. უცხო ქვეყნებში განათლების მიღების შემდეგ სტუდენტები მნიშვნელოვან ცოდნას და უნარ-ჩვევებს იძენენ, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას თავიანთი ქვეყნის შრომით ბაზარზე.

**მთავრობა მხარს დაუჭერს სტუდენტთა მობილობის პროგრამებს უმაღლესი განათლების ყველა დონეზე.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

4.1 უზრუნველყოფს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ მობილობის პროგრამების განხორციელებას განათლების ყველა დონეზე:

4.2 ხელი შეუწყოს ფინანსური დახმარების ორგვარ პაკეტს:

a. სტუდენტთა ხარჯების (სწავლის, ვიზის მიღების, ცხოვრების და სხვა ხარჯები) სრულად დაფარვა, ან

b. სტუდენტთა ხარჯების ნაწილობრივი დაფარვა - რაც დამოკიდებულია სტუდენტთა ფინანსურ შესაძლებლობებზე.

4.3 უზრუნველყოფს პროცედურულ მხარდაჭერას, კერძოდ:

a. აძლიერებს ურთიერთობებს უცხო ქვეყნებში მოქმედ სასწავლებლებთან და აწვდის სტუდენტებს ყველა სახის აუცილებელ ინფორმაციას (არსებული პროგრამების, სავიზო და სხვა საკითხების შესახებ);

b. აღიარებს საზღვარგარეთ მოქმედ სასწავლებლებში სტუდენტთა მიერ მიღებულ კრედიტებს (შეფასებებს);

4.4 ხელს შეუწყობს ლექტორების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს.

## **D. პოლიტიკის მიმართულება 3: ჯანმრთელობა**

### **1. ცხოვრების ჯანსაღი წესი**

ათი სიკვდილიდან ცხრა საქართველოში გამოწვეულია ცხოვრების იმ არაჯანსაღი წესით, რომელიც ყალიბდება ბავშვობის და მოზარდობის პერიოდში. ცხოვრების არაჯანსაღი წესი მოიცავს: თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას; აზარტულ თამაშებს; მთვრალ მდგომარეობაში და უსაფრთხოების ღვედების გარეშე ავტომობილის მართვას; არასწორ კვებას; და არასაკმარის ფიზიკურ აქტივობას. ახალგაზრდებს შორის მწვავე პრობლემად რჩება თამბაქოსა და ნარკოტიკების მოხმარება, განსაკუთრებით ინექციის წესით, რაც საქართველოში აივ ინფექციის გავრცელების ყველაზე ხშირი გზაა. ჭარბწონიანობის მაჩვენებელი სწრაფად იზრდება, რაც ფიზიკური აქტივობის სიმცირითა და არაჯანსაღი კვებითაა განპირობებული. ამ პრობლემის მოგვარებას მთავარ დაბრკოლებას



უქმნის ის გარემოება, რომ ქართველები, განსაკუთრებით კი ქართველი ახალგაზრდები, არ სარგებლობენ პირველადი სამედიცინო დახმარებით, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ ბევრ ახალგაზრდას არ გააჩნია ჯანმრთელობის დაზღვევა. გარდა ამისა, პირველადი სამედიცინო დახმარების პროვაიდერები პაციენტებს სისტემატურად არ აწვდიან ინფორმაციას ცხოვრების არაჯანსაღი წესის შესახებ და არ ურჩევენ მათ, შეცვალონ იგი. აღნიშნული საკითხების ამსახველი სტრატეგიები წარმოდგენილია შემდეგ დოკუმენტებში: ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია საქართველოსათვის (2010-2015); ბავშვთა ფიზიკური განათლების ეროვნული სტრატეგია; აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა (2011-2016). საქართველოს მთავრობა აპირებს, უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდებს, რაც უზრუნველყოფს შედეგების უფრო ეფექტურად მიღწევას.

## **მთავრობა წახალისებს ახალგაზრდებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის გავრცელებას**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

- 1.1 ხელს შეუწყობს სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდებს შორის კვლევების ჩატარებას ცხოვრების არაჯანსაღი წესის რისკ-ფაქტორების გამოვლენისა და ანალიზის მიზნით;
- 1.2 გააძლიერებს იმ მოქმედი კანონების მარეგულირებელ მექანიზმებს, რომელთა მიხედვითაც აკრძალულია, უბიძგო ბავშვს ცხოვრების არაჯანსაღი წესისკენ;
- 1.3 გაზრდის ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ახალგაზრდების ინფორმაციულობის ხარისხს, რაც მათ წახალისებს, შეცვალონ თავიანთი ქცევა და მოითხოვონ ჯანსაღი ცხოვრების შესაძლებლობები;
- 1.4 გააუმჯობესებს ახალგაზრდებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების მომსახურებას და უზრუნველყოფს, რომ ამგვარი მომსახურება იყოს გენდერულად სენსიტიური, პრევენციული და ფინანსურად და გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი;
- 1.5 გაზრდის ახალგაზრდებისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომ რეკრეაციულ-სპორტულ აქტივობებში ჩაბმის შესაძლებლობას, რისთვისაც გააუმჯობესებს სპორტულ ინფრასტრუქტურას, განსაკუთრებით საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ადგილებში, და ხელს შეუწყობს იქ დასაქმებული პერსონალის უნარ-ჩვევების გაძლიერებას.

## **2. რეპროდუქციული ჯანმრთელობა**

საქართველოში სექსუალური ცხოვრება იწყება მოზარდობის ასაკის დასრულებისას და მოწიფულობის ასაკში შესვლისას. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ქალთა უმრავლესობა იღებს ბავშვის გაჩენის გადაწყვეტილებას. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდებს სჭირდებათ ინფორმაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების, შესაძლებლობებისა და მომსახურებების შესახებ. რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მათ შორის, თანამედროვე კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ხელს უშლის ახალგაზრდებს შორის აბორტებისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შემცირებას. ჯანდაცვის სამსახურებით სარგებლობის თვალსაზრისით, არასრულწლოვნები და ახალგაზრდები ამ სფეროშიც აწყდებიან ფინანსურ და გეოგრაფიულ სირთულეებს. ამასთან, შეიმჩნევა ჯანდაცვის მუშაკთა ნაკლებობა, რომელთაც შესწევთ რეპროდუქციული

ჯანმრთელობის სფეროში ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი მომსახურების გაწევა. მთავრობა აპირებს, თავის პოლიტიკაში აღმოფხვრას ამ სფეროში არსებული ხარვეზები.

**მთავრობა გააუმჯობესებს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამსახურების ხარისხს და არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდებისთვის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

2.1 სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამასა და პოლიტიკაში პრიორიტეტულ მნიშვნელობას მიანიჭებს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამსახურებს;

2.2. გააუმჯობესებს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამსახურების ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას;

2.3 გააუმჯობესებს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამსახურებში მოღვაწე სპეციალისტთა უნარ-შესაძლებლობებს;

2.4 როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სწავლების გზით, გაზრდის მოზარდებისა და ახალგაზრდების ინფორმაციულობის ხარისხს რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მათი უფლებების და აივ-ინფექციის პრევენციის შესახებ.

### **3. მენტალური და ემოციური ჯანმრთელობა**

ძალზედ მცირე ინფორმაცია არსებობს საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მენტალური ჯანმრთელობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდებს შორის სულ უფრო მწვავედ დგას მენტალური ჯანმრთელობის პრობლემა. სახელმწიფო ახალგაზრდული საკონსულტაციო მექანიზმის ფარგლებში გამოკითხულმა ახალგაზრდებმა დაასახელეს ბევრი ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობს და/ან მოწმობს სუსტ მენტალურ ჯანმრთელობას, ამ ფაქტორებს შორისაა საკუთარ თავში ჩაკეცვა, აგრესია, ცხოვრების არაჯანსაღი წესი და დაუსაქმებლობა. თემების დონეზე არ მოქმედებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვთა ფსიქიატრიული სამსახურები, დაბალია იმ პირთა კვალიფიკაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას მენტალური ჯანმრთელობის სფეროში. მთავრობა აპირებს თავის პოლიტიკაში აღმოფხვრას ამ სფეროში არსებული ხარვეზები.

**მთავრობა ხელს შეუწყობს სამსახურებს, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების მენტალური და ემოციური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

3.1 შეაგროვებს და გაანალიზებს ახალგაზრდების მენტალური და ემოციური ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველ ინფორმაციას;

3.2 გააუმჯობესებს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი მენტალური ჯანმრთელობის სამსახურების ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქიატრებისთვის, და დაიქირავებს ფსიქოლოგებს სკოლებში სამუშაოდ;

3.3 შეამცირებს მენტალური პრობლემების მქონე ადამიანთა სტიგმატიზაციას, მენტალური და ემოციური ჯანმრთელობის შესახებ ახალგაზრდებისა და მოსახლეობის ფართო მასების ინფორმატიულობის დონის ამაღლებით;

3.4 გააუმჯობესებს და გამოიყენებს არსებულ კანონებს იმ მედია-საშუალებათა რეგულირების მიზნით, რომლებიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდების მენტალურ და ემოციურ ჯანმრთელობაზე;

3.5 ხელს შეუწყობს ინიციატივებს, რომელთა მიზანია მენტალური პრობლემების მქონე ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია.

## **E. პოლიტიკის მიმართულება 4: სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა**

### **1. სოციალური დახმარება**

მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა სოციალური დანახარჯების ეფექტიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რომლებიც ხმარდება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნას. მიუხედავად ამისა, საერთო ეკონომიკური ზრდა და ამჟამად მოქმედი სოციალური დახმარების პროგრამები სათანადოდ ვერ აღმოფხვრის ახალგაზრდებს შორის სიღარიბის პრობლემებს. საქართველოში მცხოვრები ბავშვების მაღალი პროცენტი ჯერ კიდევ სიღარიბეში ცხოვრობს. ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მთელი მოსახლეობის. სიღარიბე აისახება ბავშვთა კვებასა და საბინაო პირობებზე, ასევე ახალგაზრდების მიერ განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე. ბავშვთა სიღარიბეს მასშტაბური ხასიათი აქვს და იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ მოწყვლადი ჯგუფებით. მიუხედავად ამისა, ბავშვები, რომელთაც უმუშევარი მშობლები ჰყავთ, სიღარიბის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან. ბავშვთა სიღარიბის პრობლემა შესწავლილია, მაგრამ ცნობილი არ არის ახალგაზრდებს შორის სიღარიბის მაჩვენებელი და ის, თუ რა გავლენას ახდენს მათზე სიღარიბე.

**მთავრობა გააძლიერებს კვლევებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აკმაყოფილებს სოციალური დახმარების პროგრამები სიღარიბეში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებს**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

- 1.1 გააკეთებს კვლევით ანალიზს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზეგავლენას ახდენს სიღარიბე ახალგაზრდებზე;
- 1.2 უზრუნველყოფს მიზნობრივი სოციალური დახმარების და სხვა სოციალურ პროგრამებში ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებათა გათვალისწინებას;

- 1.3 მიიღებს ქმედით ზომებს, რათა უზრუნველყოს ახალგაზრდა ოჯახებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების და სხვა სოციალური პროგრამების ხელმისაწვდომობა;
- 1.4 გამოიყენებს მიზნობრივი სოციალური დახმარების და სხვა სოციალურ პროგრამებს იმ ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც აღარ არიან სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ;
- 1.5 სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან გაანთავისუფლებს იმ პირებს, რომლებიც ოჯახის ერთადერთ მარჩენალს წარმოადგენენ;
- 1.6 შეიმუშავებს და განახორციელებს რეგულარულ საინფორმაციო კამპანიებს ქვეყანაში არსებული სოციალური შემწეობებისა და მომსახურებების, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში იმ ფაკულტეტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სადაც სწავლების დაბალი საფასურია.

## **2. პრევენციული ღონისძიებები იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სპეციალური მხარდაჭერა ესაჭიროებათ**

მზრუნველობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდები, ის ახალგაზრდები, რომელთა მიმართაც დასრულდა სახელმწიფო მზრუნველობა, უსახლკარო, მართლსმაჯულების სისტემაში მოხვედრილი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები განსხვავებული საჭიროებებისა და რისკების წინაშე დგანან. მიუხედავად ამისა, განურჩევლად ყველა ახალგაზრდას სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა იმის გარდა, რასაც მათ სთავაზობს ოჯახი და მთავრობის მიერ დადგენილი ძირითადი სამსახურები. ამ მხარდაჭერის გარეშე ისინი შესაძლოა უფრო სავალალო შედეგების წინაშე აღმოჩნდნენ, კერძოდ, ჩაიდინონ დანაშაული, გაირიცხონ სკოლიდან, გახდნენ ძალადობის ან ექსპლუატაციის მსხვერპლნი, დარჩნენ დაუსაქმებელნი, სახლ-კარის გარეშე, ბოროტად გამოიყენონ ალკოჰოლი ან ნარკოტიკები, ან გახდნენ მათზე დამოკიდებულნი, გაუჩნდეთ მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და აღმოჩნდნენ საზოგადოებისგან გარიყულნი. მთავრობა ამჟამად ახორციელებს სისხლის სამართლის სისტემის (არასრულწლოვანთა მართლსმაჯულების სისტემის ჩათვლით) და ბავშვთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული სისტემის რეფორმას, რომლის მიზანია უზრუნველყოს ამ სისტემებში მოხვედრილი ახალგაზრდების საჭიროებათა უფრო ეფექტურად დაკმაყოფილება და პრევენციული ღონისძიებების გატარება. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის 2011-2014 წლების სტრატეგია (განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც შეეხება დანაშაულის მეორედ ან მესამედ ჩადენის პრევენციას), წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრის სფეროში კოორდინირებული მიდგომის შემუშავების თვალსაზრისით, და იგი შეიძლება ითვალისწინებდეს არასრულწლოვანთა დანაშაულის ნეგატიური შედეგების აღმოფხვრასაც. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ყოვლისმომცველ სისტემას, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობების აღმოფხვრა, განსაკუთრებით განათლებისა და დასაქმების სფეროში. ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდების საჭიროებებს.

სახელმწიფო განხორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სპეციალური მხარდაჭერა ესაჭიროებათ, განსაკუთრებით, მზრუნველობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდებისთვის, ასევე იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთა მიმართაც დასრულდა სახელმწიფო მზრუნველობა, უსახლკარო და მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ახალგაზრდებისთვის.

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

2.1 18-დან 24 წლამდე გაზრდის იმ ახალგაზრდების ასაკობრივ ზღვარს, რომელთა მიმართაც ვრცელდება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და განსაკუთრებულ პრიორიტეტად გამოაცხადებს შემდეგს:

a. იმ ახალგაზრდების მონაცემთა ბაზის შექმნა, რომლებსაც ესაჭიროებათ სპეციალური მხარდაჭერა;

b. განათლების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების გზით, იმ ახალგაზრდების რეინტეგრაცია, რომლებსაც სჭირდებათ სპეციალური მხარდაჭერა;

c. მოხალისედ მუშაობის შესაძლებლობის მიცემა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ სპეციალური მხარდაჭერა;

d. სპორტულ, სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ სპეციალური მხარდაჭერა;

2.2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში უზრუნველყოფს ახალგაზრდების სპეციალურ საჭიროებათა მოგვარებას, კერძოდ, როგორცაა: შრომისუუნარობის შეფასება, ინფორმაციის მიწოდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და ისეთი სფეროების რეგულირება როგორცაა: დისკრიმინაცია, ხელმისაწვდომობა, განათლება, ჯანდაცვა, პროფესიული მომზადება /რეაბილიტაცია, დასაქმება, სოციალური დაცვა, კულტურა და სპორტი.

### **3. უფლებები, ძალადობა და სასტიკი მოპყრობა**

საქართველოში მცხოვრები უამრავი ბავშვი ადასტურებს მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის (50%-ზე მეტი), ფსიქოლოგიური ძალადობის (50%-ზე მეტი), სექსუალური ძალადობის (10%-ზე მეტი) და იგნორირების (25%-ზე მეტი) ფაქტებს. ეს ფაქტები დაფიქსირდა ოჯახში, საზოგადოებაში, სკოლაში და ყველაზე მწვავედ - დიდ დაწესებულებებში. არსებობს იმედი, რომ პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვის გაშვილებას, მცირე საოჯახო ტიპის სახლში ან მინდობით აღზრდას გარკვეულწილად მოაგვარებს ამ პრობლემას. ახალგაზრდები თვლიან, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა გამოწვევაა, განსაკუთრებით როდესაც საქმე შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და უსახლკარო ახალგაზრდების, ან იმ ახალგაზრდების უფლებათა დაცვას, რომლებიც ეროვნულ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან. მთავრობამ მნიშვნელოვნად გაზარდა სათანადოდ მომზადებული სოციალური მუშაკების რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ რეაგირება

მოახდინონ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე და დახმარება გაუწიონ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ და მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებს, რაც ქმნის საფუძველს გაუმჯობესდეს ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი ახალგაზრდების მიმართ ზრუნვა.

**მთავრობა გაზრდის ახალგაზრდების უფლებების შესახებ ინფორმატიულობის დონეს, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს შორის არაძალადობრივი და უსაფრთხო კულტურის ჩამოყალიბებას და სპეციალური დაცვითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი არიან.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

3.1 ჩაატარებს სასწავლო კურსებს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რითაც ხელს შეუწყობს ბავშვთა და ადამიანის უფლებათა დაცვას და ასწავლის ახალგაზრდებს, თუ როგორ დაიცვან თავიანთი უფლებები, მათ შორის ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლების და გოგონების/ქალთა უფლებები (რათა თავიდან იქნას აცილებული ნაადრევი ქორწინება);

3.2 გაზრდის ახალგაზრდებისა და მთელი მოსახლეობის ინფორმირების დონეს ბავშვისა და ადამიანის უფლებების, ძალადობის და იმ სამსახურების შესახებ, რომლებიც მოქმედებენ ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლთა დახმარების მიზნით;

3.3 მიაწვდის ბავშვებს და ახალგაზრდებს ინფორმაციას გარემოზე მავნე ზემოქმედების საფრთხეების და ასეთ საფრთხეებზე რეაგირების ზომების შესახებ;

3.4 ძალადობის და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლ ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტებს მოუწოდებს სპეციალური ყურადღება დაუთმონ იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მდგარ ახალგაზრდებთან, მაგალითად, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან;

3.5 შექმნის ახალ და განავითარებს უკვე არსებულ ფსიქოლოგიურ, სამედიცინო, იურიდიულ და სარეაბილიტაციო სამსახურებს, რომელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი ახალგაზრდები;

3.6 ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი ახალგაზრდებისთვის შექმნის რეფერალურ მექანიზმს.

## **F. მთავარი აქტორების როლი და ვალდებულებები**

1. საქართველოს შესაბამისი სამინისტროები და უწყებები პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში სპეციფიკური სტრატეგიების დაგეგმვაზე, განხორციელებასა და შეფასებაზე, დროში გაწერილ სამოქმედო გეგმაში მითითებული ვალდებულებების შესაბამისად. შესაბამის სამინისტროში არსებულს შესაბამის უწყებას დაევალება კოორდინაცია გაუწიოს სამინისტროს მუშაობას სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების კუთხით. სახელმწიფო ახალგაზრდულ

პოლიტიკის განხორციელებისას, აღნიშნული სამინისტროები სხვა სამინისტროებთან, სამთავრობო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციას დაამყარებენ თავად, ან სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე სამინისტროთაშორისი კომისიის მეშვეობით, და მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდებთან გამართულ სტრუქტურულ დიალოგში იმ საკითხებზე, რომლებიც მათი კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება. სამინისტროს შეუძლია იმოქმედოს, როგორც სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ ან თანათავმჯდომარემ. სამინისტროები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ახალგაზრდებთან დაკავშირებით განხორციელებული ყველა სტრატეგია და პროგრამა შესაბამისობაში იყოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპებთან და სულისკვეთებასთან, მაშინაც კი, თუ ისინი მითითებული არაა სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკაში.

**2. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო,** სხვა სამინისტროებთან ერთად, ნაკისრი ვალდებულებების გარდა, კოორდინაციას გაუწევს ახალგაზრდობის საკითხებზე სამინისტროთაშორისი კომისიას და დაესწრება სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფის ყველა შეხვედრას. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო თავმჯდომარეობს სტრუქტურული დიალოგის შესახებ სამუშაო ჯგუფს, და რეგიონული განვითარების სამინისტროსთან ერთად, თანათავმჯდომარეობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებზე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა საკოორდინაციო მექანიზმს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ასევე კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით მიღწეული პროგრესის კვლევას და მისი ამსახველი წლიური ანგარიშის შედგენას და გავრცელებას.

**3. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები რეგიონულ და რაიონულ დონეზე** პასუხისმგებელი არიან ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებაზე, განხორციელებასა და შეფასებაზე, დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. ისინი დანიშნავენ ცენტრალურ ორგანოს, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მათ დონეზე ჩატარებულ სამუშაოს. ისინი ასევე დახმარებას გაუწევენ შესაბამის სამინისტროებს შეაფასონ თუ რა ზეგავლენა იქონია ადგილობრივ დონეზე იმ სტრატეგიებმა, რომლებიც ეროვნულ დონეზე განხორციელდა. ისინი დახმარებას გაუწევენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს იმ პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც აუცილებელია ახალგაზრდებთან ადგილობრივ დონეზე სტრუქტურული დიალოგის წარმართვისათვის. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ ახალგაზრდებთან დაკავშირებით განხორციელებული ყველა სტრატეგია და პროგრამა შესაბამისობაში იყოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპებთან და სულისკვეთებასთან, მაშინაც კი, თუ ისინი მითითებული არაა სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკაში.

**4. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საპარლამენტო კომიტეტი** პასუხისმგებელია დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად და ახალგაზრდობის საკითხებზე სამინისტროთაშორისი კომისიასთან კოორდინაციით (რომლის წევრიცაა ეს კომიტეტი), შეიმუშავოს და ამოქმედოს ის კანონები, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფო

ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისთვის. ის ასევე მონაწილეობს სტრუქტურული დიალოგის შესახებ სამუშაო ჯგუფში.

**5. არასამთავრობო ორგანიზაციები,** ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დაგეგმვენ, განახორციელებენ და შეაფასებენ ქმედებებს, რომლებიც ხელს უწყობს, ან ავსებს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკით გათვალისწინებულ კონკრეტულ სტრატეგიებს და დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად დასახულ ღონისძიებებს. მათ ასევე შეუძლიათ მოითხოვონ დაფინანსება ან გააფორმონ კონტრაქტები კონკრეტულ სამინისტროებთან ისეთ მომსახურებათა გაწევის მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას. როგორც ჯგუფს, მათ შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის კოორდინაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მეშვეობით და შეარჩიონ წარმომადგენლები სტრუქტურული დიალოგის შესახებ სამუშაო ჯგუფში. ადგილობრივ დონეზე მუშაობისას, ისინი დაამყარებენ კოორდინაციას ადგილობრივი მმართველობის ორგანოში ახალგაზრდობის საკითხებზე შექმნილ ცენტრალურ ორგანოსთან. არც ერთი ეს ფუნქცია არ ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობას პროგრამების შემუშავების, საზოგადოებასთან კომუნიკაციის ან სამთავრობო სტრუქტურებთან ადვოკატირების კამპანიების განხორციელების თვალსაზრისით.

**6. საერთაშორისო ორგანიზაციები,** საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდების, მრავალმხრივი ორგანიზაციების (მაგ. გაერო, ევროკავშირი, ნატო), და უცხო ქვეყნის სამთავრობო სამსახურებისა და საელჩოების ჩათვლით, უზრუნველყოფენ ტექნიკურ მხარდაჭერასა და დაფინანსებას, რაც ხელს უწყობს, ან ავსებს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკით გათვალისწინებულ კონკრეტულ სტრატეგიებს და დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად დასახულ ღონისძიებებს. ისინი უზრუნველყოფენ, რომ ახალგაზრდებთან დაკავშირებით განხორციელებული ყველა სტრატეგია და პროგრამა შესაბამისობაში იყოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპებთან და სულისკვეთებასთან, მაშინაც კი, თუ ისინი მითითებული არაა სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკაში. როგორც ჯგუფი, ისინი თავიანთი საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

**7. კერძო სექტორი,** საწარმოების, ბანკების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიათა პროვაიდერების, ჯანდაცვის კერძო დაწესებულებებისა და სადაზღვევო კომპანიების ჩათვლით, ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების საქმეში. კერძო სექტორი ასაქმებს ახალგაზრდებს, აძლევს მათ სესხს, ჰყიდის მათზე საქონელსა და მომსახურებებს, უზრუნველყოფს მათ საკომუნიკაციო საშუალებებითა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობით და ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებას. სამოქმედო გეგმის მომზადებისას, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან დაიწყება დილოგი, რათა განისაზღვროს მათი როლი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებასა და საკოორდინაციო მექანიზმების განვითარებაში.



**8. მედია** მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდების, შემეცნების ამაღლებისა და ისეთი ქცევის ნორმების დანერგვის თვალსაზრისით, რომლებიც მათზე პოტენციურად ზეგავლენის მომხდენია. მედია შეიძლება იქცეს ახალგაზრდობის პლატფორმად, როდესაც ახალგაზრდები ქმნიან მედია კონტენტს ან როდესაც მათი საქმიანობა მედიის ყურადღების ცენტრში ექცევა. მედიას ასევე შეუძლია ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნების ხელყოფა. საქართველოში მედია საშუალებების უმეტესი ნაწილი კერძო მფლობელობაშია და ისინი სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკასთან ითანამშრომლებენ, თუ ეს მათ ინტერესებს ემსახურება, ან თუ ამას კანონმდებლობა მოითხოვს. რაც შეეხება ზოგადად კერძო სექტორს, მედიასთან დაიწყება დიალოგი მისი როლის განსაზღვრის მიზნით სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელებასა და საკოორდინაციო მექანიზმების შემუშავებაში.

**9. მკვლევარები** ჩაატარებენ კვლევას ახალგაზრდობის საკითხებზე და გაავრცელებენ კვლევის შედეგებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასების მიზნით. ინარჩუნებენ რა დამოუკიდებლობას და ასრულებენ რა თავიანთ სამუშაოს გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად, მკვლევარები ზრდიან შანსს, რომ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა პოზიტიურ გავლენას მოახდენს ახალგაზრდების ცხოვრებაზე.

## **G. გადაწყვეტილების გამოტანის, კოორდინაციისა და იმპლემენტაციის მექანიზმები**

### **1. გადაწყვეტილების გამოტანა, კოორდინაცია და იმპლემენტაცია მთავრობის შიგნით**

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა „ყოვლისმომცველი“ და მრავალსექტორული პოლიტიკაა. თუ პოლიტიკით გათვალისწინებული ზოგიერთი სტრატეგია შეიძლება მხოლოდ ერთი სექტორის მიერ განხორციელდეს, სხვა სტრატეგიების განხორციელება სხვადასხვა სამინისტროებისა და სამსახურების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის შედგენილი სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტია, თუმცა ახალგაზრდები ცხოვრობენ თემებად და უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ. ადგილობრივ დონეზე არსებულ მომსახურებათა უმეტესობას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები აკონტროლებენ, თუმცა არსებობს ზოგიერთი ისეთი მომსახურებაც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. მომსახურებათა დეცენტრალიზაციის მიზნით, საჭიროა თანამშრომლობა მთავრობის შიგნით. სხვადასხვა სექტორს შორის და მთავრობის სხვადასხვა დონეზე ეფექტური თანამშრომლობა საჭიროებს ხელმძღვანელობას, დამატებით ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს და როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, სპეციალური მექანიზმების ამოქმედებას, რომლებიც სხვადასხვა სექტორის მონაწილე პირებს ერთობლივი მუშაობისა და პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას მისცემთ. ძან რთულად წერია

**მთავრობა შექმნის შიდასამთავრობო მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა მიღებას სხვადასხვა სექტორების მონაწილეობით, ეროვნულ და**

**ადგილობრივ დონეზე, ასევე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინაციასა და იმპლემენტაციას.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

1.1 შექმნის ახალგაზრდობის საკითხებზე სამინისტროთაშორის კომისიას, მკაფიოდ განსაზღვრული უფლებამოსილებებით, რომელიც იკრიბება არანაკლებ ყოველკვარტალურად, ხოლო მინისტრთა დონეზე - არანაკლებ წელიწადში ერთხელ და მას თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი და კოორდინაციას უწევს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;

1.2 შექმნის ოთხ სამუშაო ჯგუფს, რომელთაგან თითოეული იმუშავებს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკით გათვალისწინებულ თითო მიმართულებაზე. თითოეული სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე იქნება რომელიმე შესაბამისი სამინისტრო, თითოეულ ჯგუფს ექნება მკაფიოდ განსაზღვრული უფლებამოსილებები, შეიკრიბება არანაკლებ ყოველკვარტალურად და ანგარიშებს წარუდგენს ახალგაზრდობის საკითხებზე სამინისტროთაშორის კომისიას;

1.3 დანიშნავს სამინისტროებს/სამსახურებს როგორც სამინისტროთაშორისი კომისიისა და სამუშაო ჯგუფების პერმანენტულ წევრებს და თითოეული ასეთი სამინისტროს/სამსახურის ფარგლებში განსაზღვრავს ახალგაზრდობის საკითხებზე საკოორდინაციო ორგანოს;

1.4 ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან გამართავს დიალოგს ეროვნული/ადგილობრივი პერმანენტული მექანიზმის შემუშავების მიზნით, რომელსაც ექნება მკაფიოდ განსაზღვრული უფლებამოსილებები და შეიკრიბება რეგულარულად;

1.5 გააძლიერებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა შესაძლებლობას შეასრულონ თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკასთან მიმართებაში, და ამ მიზნით გაზრდის ფინანსური რესურსების მოცულობას და უზრუნველყოფს მათ ეფექტურად განაწილებას.

## **2. გადაწყვეტილების მიღება, კოორდინაცია მთავრობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის და იმპლემენტაცია**

მთავრობას მხოლოდ საკუთარი ძალებით არ შესწევს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება; უმნიშვნელოვანესია ასევე არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერაც. აქტორთა თითოეულ ჯგუფს გააჩნია მუშაობის საკუთარი მეთოდი და ინტერესები, რაც ზოგჯერ შესაძლოა გამოწვევად იქცეს. თუ სამთავრობო სექტორი ვალდებულია განახორციელოს სამთავრობო პოლიტიკა, არასამთავრობო პარტნიორებს ამგვარი ვალდებულება არ ეკისრებათ და ისინი ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში აკეთებენ, თუ ეს მათ ინტერესებს ემსახურება. ეფექტური თანამშრომლობის მიზანია მონაწილე მხარეებმა განსაზღვრონ საერთო ინტერესის სფეროები და ერთობლივად შეიმუშავონ ის მექანიზმები, რომლებიც ყველა მხარის ინტერესს ემსახურება.

**მთავრობა შექმნის შიდასამთავრობო მექანიზმებს, რომელთა მიზანია სხვა დაინტერესებული მხარეების ჩაბმა გადაწყვეტილების მიღების, კოორდინაციისა და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

2.1 გამართავს დიალოგს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რათა განისაზღვროს საუკეთესო მექანიზმი სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ პროცესებში მათი ჩაბმის მიზნით, და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სამოქმედო გეგმის შემუშავებაში;

2.2 უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ პროცესებში მონაწილეობა ღია იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის;

2.3 არასამთავრობო ორგანიზაციებს მისცემს შესაძლებლობას მოითხოვონ დაფინანსება ან მათთან გაფორმდეს კონტრაქტები ისეთ მომსახურებათა გაწევის მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას;

2.4 მხარს დაუჭერს თანამშრომლობას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, არასამთავრობო სექტორსა და ახალგაზრდებს შორის.

### **3. სტრუქტურული დიალოგი: გადაწყვეტილების გამოტანა, კოორდინაცია და იმპლემენტაცია ახალგაზრდების მონაწილეობით**

მთავრობა აღიარებს, რომ ახალგაზრდებს გააჩნიათ საკუთარი აზრების გამოთქმისა და ამ აზრების იმ გადაწყვეტილებებში ასახვის უფლება, რომლებიც მათ შეეხება. მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მთავრობა ასევე აღიარებს, რომ სტრუქტურულ დიალოგს შედეგად მოჰყვება უფრო ქმედითი გადაწყვეტილებები და გაზრდილი ეფექტურობა, განსაკუთრებით სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით. ახალგაზრდები მოითხოვენ თავიანთ მთავრობასთან კომუნიკაციის შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს მთავრობის ანგარიშვალდებულებას და ხელს უწყობს რეფორმებს სამთავრობო სექტორში.

**მთავრობა გამოიყენებს სტრუქტურულ დიალოგს, როგორც სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკაში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმს.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

3.1 კოორდინაციას გაუწევს სტრუქტურული დიალოგის მექანიზმებს და პროცესებს, სტრუქტურული მონაწილეობის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელსაც თავმჯდომარეობს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, და რომელიც დაკომპლექტებულია სამინისტროების, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებულ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისგან.

3.2 წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და ახალგაზრდობის საკითხებზე სამინისტროთაშორის კომისიასთან შეთანხმებით, შეიმუშავებს წლიურ თემატურ პრიორიტეტებს იმ სტრუქტურული დიალოგისთვის, რომელიც ჩატარდება სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკასთან მიმართებაში;

3.3 თხოვნით მიმართავს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებს (სამინისტროებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, რეგიონულ ორგანოებს, მერიებს, საკრებულოებს, სახელმწიფო უწყებებს, სხვ) მონაწილეობა მიიღონ წლიური თემატური პრიორიტეტების შესახებ მიმდინარე სტრუქტურული დიალოგის პროცესში;

3.4 უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდას, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადი და ნაკლებად აქტიური ჯგუფების წარმომადგენლებს (როგორცაა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ახალგაზრდები, მზრუნველობის ქვეშ მყოფი, მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი, უსახლკარო, და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ახალგაზრდები) გააჩნდეთ სტრუქტურული დიალოგის პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები; გამოიყენებს აღმავალი ანალიზის მეთოდს, რაც ახალგაზრდებს მისცემს თავიანთ თემებში მონაწილეობისა და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან და სახელმწიფო სამსახურებთან დაკავშირების შესაძლებლობას;

3.5 შეაფასებს სტრუქტურული დიალოგის მექანიზმებს და პროცესებს, ასევე მოამზადებს ინფორმაციულ-დოკუმენტურ მასალებს იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რაც ხელს შეუწყობს მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარვეზების უკეთ გაცნობიერებას.

#### 4. კომუნიკაცია

სანდო ინფორმაციის დროულ ხელმისაწვდომობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობისა და მათი კეთილდღეობის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობისა საკითხებთან და ახალგაზრდობის მონაწილეობის შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაცია ძნელად ხელმისაწვდომია, განსაკუთრებით რეგიონებში. ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ბეჭდვითი გამოცემების რიცხვი ძალზედ მცირეა. ახალგაზრდული სატელევიზიო გადაცემები ფოკუსირებულია გართობაზე და არა ინფორმაციის მიწოდებასა და განათლებაზე. ამასთან, ახალგაზრდული სექტორისთვის ძალზედ მვირია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სარეკლამო სივრცის შექმნა, რაც მათ საკუთარი გზავნილების გავრცელების საშუალებას მისცემდა. ბევრი ახალგაზრდისთვის ინფორმაციის მიღების წყარო ბიბლიოთეკებია, მაგრამ ბიბლიოთეკებს სჭირდება განახლება, ახალი წიგნები და ინტერნეტი/კომპიუტერული აპარატურა. ინტერნეტი, განსაკუთრებით სოციალური ქსელები, ინფორმაციის გავრცელების დანახარჯეფექტური გზაა, მაგრამ უნდა მოინახოს ალტერნატიული საშუალებები იმ ახალგაზრდებისთვისაც, რომლებიც თემებში ცხოვრობენ და არ გააჩნიათ ინტერნეტზე წვდომა, ან არ შეუძლიათ მისი საფასურის გადახდა. ონლაინ ინფორმაცია ხარისხიანი უნდა იყოს და რეგულარულად ახლდებოდეს. ახალგაზრდები და მათი ორგანიზაციები თანატოლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტური საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა აქტიურად იყენებს ინტერნეტს, მას-მედიას და სხვა სარეკლამო საშუალებებს

(ბილბორდებს, ავტობუსებში გამოკრულ პოსტერებს) ახალგაზრდებს შორის თავისი გზავნილების გავრცელების მიზნით, საჭიროა შემუშავდეს პოლიტიკა ინფორმაციის გავრცელების ისეთი მექანიზმების გაძლიერების მიზნით, რომლებშიც კერძო მედია-საშუალებები და ახალგაზრდული ორგანიზაციები სრულფუნქციური პარტნიორების სახით იქნებიან წარმოდგენილნი.

## **მთავრობა გააუმჯობესებს ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობებისა და ახალგაზრდული საკითხების ამსახველი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

4.1 შექმნის ვებსივრცეს, რომელიც თავს მოუყრის საქართველოს ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების ამსახველ ინფორმაციას, კერძოდ, ახალგაზრდული სამუშაოს განმახორციელებელი სამსახურების, არაფორმალური სწავლის, მოხალისედ მუშაობის შესაძლებლობებისა და მოხალისეთა მიმღები ორგანიზაციების შესახებ;

4.2 ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს მექანიზმებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, იმ თემების კულტურული და სოციალური სპეციფიკის გათვალისწინებით, სადაც ეს ახალგაზრდები ცხოვრობენ.

## **5. ახალგაზრდული სამუშაო და არაფორმალური განათლება**

„ახალგაზრდული სამუშაოს შესახებ“ ევროკავშირის საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად, „ახალგაზრდული სამუშაო ახალგაზრდებისგან მოითხოვს იკისრონ პასუხისმგებლობა და იყვნენ ანგარიშვალდებულნი თავიანთი ქმედებებისთვის და აკისრებს მათ აქტიურ როლს ამგვარი სამუშაოს განვითარებასა და განხორციელებაში. ახალგაზრდულ სამუშაოს შეუძლია შექმნას კომფორტული, უსაფრთხო, შემოქმედებითი და სასიამოვნო გარემო, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან, გაიცნონ ერთმანეთი, ითამაშონ, ხატონ, გამოიკვლიონ და ჩაატარონ ექსპერიმენტები“. ახალგაზრდულ სამუშაოს შეუძლია უზრუნველყოს ახალგაზრდული პოლიტიკის ინკლუზიურობა, რადგან იგი ღიაა ნებისმიერი ახალგაზრდისთვის და კონცენტრირებულია განსაკუთრებით მათზე, ვინც არაა დასაქმებული, არ აქვს დასვენების დრო და განათლების მიღების შესაძლებლობები. ახალგაზრდობა და ახალგაზრდული სამუშაოს ორგანიზაციები წარმოადგენენ არაფორმალური განათლების მთავარ პროვიდერებს, და ხელმძღვანელობენ მოხალისედ მუშაობის, ემპირიული და ჰოლისტიური სწავლის იმავე პრინციპებით, ასევე ღირებულებებზე და მოსწავლეზე კონცენტრირებული მიდგომებით. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდული სამუშაოს პროვაიდერებს შეუძლიათ ახალგაზრდებს შესთავაზონ პიროვნული, სოციალური, საგანმანათლებლო და პროფესიული უნარ-ჩვევები. საქართველოში ახალგაზრდული სამუშაო და არაფორმალური განათლება ჯერ კიდევ განვითარებას საჭიროებს, სათანადოდ არაა განსაზღვრული ინკლუზიური და მონაწილეობითი ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური განათლების პროვაიდერთა კომპეტენციები. გამოკითხულმა ახალგაზრდებმა პრიორიტეტი მიანიჭეს არაფორმალური განათლების მთელ რიგ შესაძლებლობებს. მთავრობა აღიარებს

ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური განათლების მნიშვნელობას სხვა საგანმანათლებლო სექტორების სრულყოფის თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პოლიტიკის განხორციელებას და უზრუნველყოფს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ინკლუზიურ და მონაწილეობით ფორმატში განხორციელებას.

**მთავრობა ხელს შეუწყობს საქართველოში ახალგაზრდული სამუშაოს სექტორის განვითარებას, რაც ახალგაზრდებისთვის შექმნის ინკლუზიურ და მონაწილეობით ფორმატში არაფორმალური სწავლის შესაძლებლობებს.**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

5.1 ხელს შეუწყობს კვლევებისა და ადგილობრივი სასწავლო პროგრამების განხორციელებას და დააფინანსებს საერთაშორისო განათლების მიღების შესაძლებლობებს, რითაც უზრუნველყოფს ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციათა ზრდასა და მათ პროფესიულ განვითარებას;

5.2 შეიმუშავებს დაფინანსების პროგრამებს იმ დაწესებულებების, ანუ ახალგაზრდული და ახალგაზრდული სამუშაოს ორგანიზაციების, მათ შორის ახალგაზრდული ცენტრების შექმნისა და გაუმჯობესებისთვის, სადაც უნდა ჩატარდეს ახალგაზრდული სამუშაო; მან მარტივი აზრია და ძალიან რთულად წერია

5.3 ახალგაზრდული და ახალგაზრდული სამუშაოს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შექმნის დაფინანსების შესაძლებლობებს ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური განათლების სფეროში პროექტების დასაწყებად, რომლებიც კონცენტრირებული იქნება კვლევის საფუძველზე გამოვლენილ პრიორიტეტებზე, იმ გეოგრაფიულ ზონებში, სადაც არაფორმალური განათლების მცირე შესაძლებლობებია და გათვლილი იქნება იმ ახალგაზრდებზე, რომლებსაც განათლების მიღებისა და მონაწილეობის ნაკლები შანსი აქვთ;

5.4 აღიარებს და ცნობს ახალგაზრდული სამუშაოს შესრულების შედეგად მიღებულ გამოცდილებას და არაფორმალური განათლების შედეგებს, რაც ახალგაზრდებს დაეხმარება სამსახურის პოვნასა ან განათლების გაგრძელებაში;

5.5 ერთმანეთთან დააკავშირებს სამინისტროების ფინანსურ პროექტებსა და საერთაშორისო პროგრამებს, რომლებიც არეგულირებს განათლების, დასაქმების, ჯანდაცვისა და სოციალური ინკლუზიის საკითხებს, რათა უზრუნველყოს აუცილებელი რესურსები ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური განათლებისთვის;

5.6 უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდული სამუშაოს სფეროში გადაწყვეტილების მიღება განხორციელდეს ახალგაზრდულ მუშაკებთან თანამშრომლობის გზით.

## **6. კვლევა**

კვლევამ შეიძლება სხვადასხვა ფორმით შეუწყოს ხელი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას: დაარწმუნოს სხვები იმაში, თუ რატომ უნდა გამოცხადდეს

ზოგიერთი საკითხი პრიორიტეტულად; განსაზღვროს, თუ რომელ სტრატეგიას აქვს განხორციელების შანსი: განსაზღვროს სტრატეგიების განხორციელების გზები; და შეაფასოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესი. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ეყრდნობა საქართველოში ახალგაზრდობის საკითხებზე ჩატარებული კვლევის გზით მოპოვებულ ინფორმაციას. მიუხედავად ამისა, ბევრ საკითხზე ინფორმაცია არ არსებობს, ხოლო მოპოვებული ინფორმაციის ხარისხი ზოგჯერ არცთუ ისე მაღალია. ამასთან, ბევრ სექტორში არ არსებობს პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით კვლევის შედეგების გამოყენების კულტურა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ახალგაზრდობის საკითხებზე უნდა ჩატარდეს უფრო მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც იქნება რელევანტური და ხარისხიანი. აღნიშნული მიზნის მიღწევის პროცესში საჭიროა ჩაერთოს სხვადასხვა დისციპლინებში მომუშავე უფრო მეტი ქართველი მკვლევარი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ახალგაზრდობის საკითხებით და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

## **მთავრობა მხარს დაუჭერს ინიციატივებს, რომლებიც ემსახურება ახალგაზრდული პოლიტიკისთვის აუცილებელი საინფორმაციო რესურსის გაუმჯობესებას**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

6.1 მხარს დაუჭერს საქართველოში ახალგაზრდობის საკითხებზე საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო-დოკუმენტური ცენტრის და ასევე სხვა ისეთი დაწესებულებების შექმნას, სადაც მკვლევარებს, სტრატეგიული დოკუმენტების შემდგენელ პირებს და მედიის წარმომადგენლებს შეეძლებათ ერთმანეთს გაუზიარონ და იმსჯელონ კვლევის შედეგებზე (ყურნალი, კვლევის შედეგების ამსახველი ბრიფინგები, კონფერენციები, სხვ);

6.2 დააფინანსებს ახალგაზრდობის საკითხებზე დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებას და ამ დაფინანსებიდან გარკვეულ თანხას მოახმარს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და თავად მკვლევართა მიერ დასახელებული პრიორიტეტების განხორციელებას, რომელთაგან უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმისთვის ფონური მდგომარეობის შესწავლა;

6.3 მხარს დაუჭერს ისეთი მექანიზმის შექმნას, რომლის მიზანია ახალგაზრდობის საკითხებზე კვლევის ჩასატარებლად წარმოდგენილი წინადადებების ეთიკურობისა და ხარისხის შესწავლა.

## **7. ანგარიშვალდებულება**

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია განისაზღვროს კონკრეტული ღონისძიებები, გადანაწილდეს პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, გამოიყოს აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად აუცილებელი თანხები და განისაზღვროს ზომები მონიტორინგის გაწევისა და პროგრესის შეფასების მიზნით. შემდგომში, მნიშვნელოვანია დაიწეროს პროგრესის ამსახველი ანგარიშები, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ

სხვადასხვა აქტორებმა. ზოგიერთი ზომა კანონმდებლობაშიც უნდა აისახოს. კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მექანიზმებს ამგვარი ზომების ასამოქმედებლად. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში მიღწეულ პროგრესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა ახალგაზრდებს ზოგჯერ ექმნებათ მწვავე პრობლემები, განსაკუთრებით თავიანთ უფლებებთან დაკავშირებით, რაც დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს. ხშირად ამ პრობლემების მოგვარების საუკეთესო გზაა ორგანიზაციის ფარგლებში (მაგ. სკოლა, მუნიციპალური ოფისი) მოქმედი მექანიზმების გამოყენებით საჩივრის შეტანა და პრობლემის ამ გზით გადაწყვეტა. თუმცა პრობლემის მოგვარების ეს შიდა მექანიზმები ზოგჯერ ეფექტურად არ მუშაობს და აუცილებელი ხდება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი აქტორის ჩარევა, რომელსაც გააჩნია ახალგაზრდების პრობლემათა გადაწყვეტისა და მათი უფლებების დაცვის უფლებამოსილება.

### **მთავრობა ამოქმედებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით**

ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობა:

7.1 უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის, სამთავრობო პროგრამებისა და ბიუჯეტების განხილვას, რათა განისაზღვროს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის რომელ სფეროში ხორციელდება რეგულირების ზომები და რომელში არა;

7.2 შეიმუშავებს სამწლიან სამოქმედო გეგმას, როგორც მთავრობის, ისე გარეშე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, რომელიც განსაზღვრავს თითოეულ ღონისძიებაზე, ასევე წლიური ეტაპებისა და ბიუჯეტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ მხარეს;

7.3 განსაზღვრავს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ზემოქმედების ინდიკატორებს, იმ ინდოკატორების გათვალისწინებით, რომლებიც უკვე განისაზღვრა ევროკავშირის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის;

7.4 შეიმუშავებს წლიურ ანგარიშს, რომელიც ასახავს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში მიღწეულ პროგრესს და მის ზემოქმედებას, რომელიც წარედგინება პრეზიდენტს, საკანონმდებლო ორგანოს და მოსახლეობის ფართო ფენებს;

7.5 მხარს დაუჭერს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკანონმდებლო კომიტეტს წარმოადგინოს საკანონმდებლო ცვლილებები ან ახალი კანონები, რომლებიც ხელს უწყობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას;

7.6 უზრუნველყოფს სახალხო დამცველს დამატებითი რესურსებით, რათა სამთავრობო დაწესებულებებში ამოქმედდეს საჩივრის შეტანის ეფექტური მექანიზმები, ახალგაზრდებმა მიიღონ ინფორმაცია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკით გათვალისწინებული თავიანთი უფლებებისა და სხვა უფლებების შესახებ, უზრუნველყოფილ იქნას ახალგაზრდების მიერ შეტანილ საჩივრებზე რეაგირება, საჭიროების შემთხვევაში, ამგვარ საჩივრებთან დაკავშირებით ჩატარდეს სისტემური გამოძიება და ახალგაზრდულმა



ორგანიზაციებმა, მთავრობის წლიურ ანგარიშთან ერთად, წარმოადგინონ დამატებითი ანგარიში, რომელიც ასახავს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში მიღწეულ პროგრესს.

## H. დასკვნა

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა წარმოადგენს ათვლის წერტილს ისეთი საზოგადოების შექმნის მიზნით, სადაც ახალგაზრდები ცხოვრობენ სრულფასოვანი ცხოვრებით, წარმოადგენენ საზოგადოების აქტიურ წევრებს, შემწყნარებლობით და ზრუნვით ეპყრობიან სხვა ადამიანებს, აღწევენ დამოუკიდებლობას და გააჩნიათ თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზების მოტივაცია.

ამ პოლიტიკის სრულად განხორციელება მოითხოვს იმ აქტორების თანმიმდევრულ და ინტენსიურ ყურადღებას, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ახალგაზრდობაზე და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს არის შესაძლებლობა რეალობად იქცეს ის რიტორიკა, რომელიც საქართველოს აწმყოსა და მომავლისთვის ახალგაზრდობის მნიშვნელოვან როლზეა ფოკუსირებული. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა წარმოადგენს „ქოლგა“ დოკუმენტს და მისი ხედვა, პრინციპები და მექანიზმები საფუძვლად უნდა დაედოს მთავრობის ახალგაზრდობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებს. სამწლიანი სამოქმედო გეგმისა და მისი ბიუჯეტის შედგენა არის ის პირველი ეტაპი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება შესაძლებლს თუ არა ახალგაზრდული პოლიტიკა თავისი პოტენციალის რეალიზებას.

აქტორების მონაწილეობისა და აქტორებსა და ახალგაზრდობას შორის დღემდე მიღწეული თანამშრომლობის დონე გვამღევეს ოპტიმიზმის საფუძველს. რაც უფრო მაღალია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ ინფორმატიულობის ხარისხი და რაც უფრო მასშტაბურია მასში მონაწილეობა, მით უფრო რეალურია ახალგაზრდებისა და მთლიანად ქვეყნისთვის ამ პოლიტიკით გათვალისწინებული მიზნების შესრულების შესაძლებლობა.